ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 331 1918 წ. ხუთშაბათი სექტემბრის 19. № 334

**სახალხო გვარდიის რაზმმა ასამდე ოსმალო ჯარისკაცი დაატყვევა სამურზაყანოში.—სახ. გვარდიის რაზმი იტყობინება, რომ ამ დღეებში სამურზაყანოში სრული სიმშვიდე ჩამოვარდება.—ელეტსა და ენს შუა ბრძოლა გრძელდება.—გერმანელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 44 ჰაეროპლანი.**

თავზარდაცემულნი დეკანოზი იოსებ და ოლღა პავლესასული წერეთლები გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროოდ მიცვალებას უძვირფასესისა და დაუვიწყარი შვილის

ვერა ვარაზაშვილისას

დასაფლავება სოფ. ცხრუკვეთში, ენკენისთვის 21, შაბათს, დილის 11 საათზე 1317.

ვლადიმერ იოსების ძე, სარა ნიკოლოზის ასული და ბარბალე კობახიძეები, კლოტილდა დაიბერი, ზინა და ვანო ჩლაიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ დ. ჭიათურაში სექტემბრის 15-ს უდროოდ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი რძალი

ვერა ვარაზაშვილისა

დასაფლავება ს. ცხრუკვეთში სექტემბრის 21-ს, დილის 11 ს. 2023

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი თავზარდაცემული აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ, ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ ენკენისთვის 15-ს, დ ჭიათურაში უდროოდ დაკარგა თვისი უძვირფასესი მეგობარი და მეუღლე

ვერა

დასაფლავება ს. ცხრუკვეთში ენკენისთვის 21-ს, შაბათს, დილის 11 საათზე. 1317

ეროვნული საბჭოს წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ ენკენისთვის 15-ს დ. ჭიათურაში უდროოდ მიიცვალა მათი ნუგეში სიყრმის მეგობარი და თავდადებული და

ვერა

დასაფლავება ს. ცხრუკვეთში ენკენისთვის 21-ს, შაბათს, დილის 11 საათზე. 1317

ულრმეს მწუხარებაში მყოფი ნუცა დგებუაძე აუწყებს ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილ-მეგობრის

ვერა ვარაზიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 2027

ცხენოსანთა დივიზიონის კომანდირი, ოფიცრები და ცხენოსნები ამით აცხადებენ, რომ ხუთშაბათს სექტემბრის 19-ს, საღ. 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულის

კორნეტ დავით ბეჟამის მის-წერეთლის

სულის მოსახსენებლად. 2032

სექტემბრის 21-ს გადახდილი იქნება ს. არბოს, წმიდა გიორგის ეკლესიაში, ორმოცი დღის წირვა და საფლავზე პანაშვიდი

ელენე ვასილ ქურულის ასულ მარტიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, გულ მოკლულნი მამა ვასილ მალხაზის ძე, და თამარ ვასილის ასული, ძმა გიორგი ვასილის ძე, მეუღლითურთ, ქურულები. 2033

**სიღნაღის** მთავრობის გიმნაზია ამით აცხადებს რომ სწავლა დაიწყება ოქტომბრის 1-ს, მისაღები და განმეორებითი გამოცდები სექტემბრის 27—30-ს. მიიღებიან მოწაფეები 5, 6, 7 კლასებში. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გიმნაზიის დირექტორის სახელზე. 2026

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

**გიმნაზია მოზრდილთათვის**

(მე-5, 6, 7 და 8 კლ. და მოსამზ.) კიევის უნივ, პრივ.-დოც. ნ. სპილიოტის და გიმნაზიის მასწავლებლის ა. გალობუევის ხელმძღვანელობით. მიღება ყველა კლასში მოწმობებით ან ეგზამენებით. სწავლა იწარმოებს საღამოობით. ვაკანსიები ცოტაა. თხოვნების და ცნობების მიღება 10—2-მდე და 4—7 საათამდე. პუშკინის ქ. № 4 პ. სპილიოტთან. 1319

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

**ნ. გ. თევზაძის**

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენ ასპ. № 11

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებ ლია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ს ნ შულგინი.

2002

გამოვიდა № 1.

გაზეთი „კლდე“ ორგანო

დამოუკიდებელი ნაციონალ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გრ გოლ ვეშაპელის რედაქციით.

2037

**სამუსიკო ინსტიტუტი**

სამუსიკო ცოდნის გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოებისა.

მოწაფენი მიიღება ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 2 და 5—7 საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში (მიხეილის პრ № 87). ნპეციალურ საგნების მასწავლებლად არიან: ნ. ასლამაზოვი, მ. მ. ავალიანი, ნ. ბეკ-მარმარჩევი, ს. გროსმანი, ვ. სტეპნიცკაია (თავის. ხელოვ.) ტ. ფერგისი (თავ. ხელ.) პროფ. სიმღერისა ე. სალიანო (იტალ. მეთოდით), ნ. ვესელოვზოროვი, სკრ. კლასი ვ. ბროდსკი, დ. გროსმანი (ლ.-ურ. ვენის კონსერვ.) ი. ჩერნიავსკი. სწავლა იწყება ენკენისთვის 20-ს. სწავლის ფასი 250 მ. ნახევარ-ნახევარ წლობით. 1321

განათლების სამინ. უწყებაში მყოფი

**პუშკინის უფლებიანი გიმნაზია**

ქალთა და ვაჟთათვის

დაარსებიდან მესამე წელიწადი. არის საანბანო, მოსამზადებელი 1—7 კლასები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ქართულ და სომხურ ენას და ლიტერატურას. მიიღებიან ეგზამენებით და თუ მოწმობები აქვთ უეგზამენოდ. ცნობების და თხოვნების მიღება შეიძლება ძველ შენობაში: პუშკინის ქ. № 4, 10—2 და 5—7 საათამდე. 1318

**მანდილოსანთა და ქალიშვილთათვის** რომელთაც სურთ თავისი ხელით შეიკერონ ტანსაცმელი, გრძელდება სწავლა „მშრომელთა თვითდახმარების“ (გოლოვინის პრ № 8 ტელ. 18 85) ჭრა-კერვის კურსებზე (შეკერვა ქალთა და ბავშვთა ტანსაცმელისა) და ქუდის კერვის კურსებზე. მეცადინეობა ფრანგული მეთოდით. მუშაობა ჭრა-კერვის კურსების მე-2 ჯგუფთან და ქუდების კერვის კურ. მე-6 ჯგუფთან იწყება სექტემბრის 23-ს. 2025

**ტფ. წმ. ნინოს** ქალთა გიმნაზიის დირექტორი ამით აცხადებს, რომ:

1) ძირითად განყოფილებების საანბანო, უმცროსი და უფროსი,—1, 2, 3 და 4 კლასები გაეროვნებულია. ამ კლასებში ყველა საგნის სწავლება იქნება ქართულ ენაზე; დანარჩენ კლასებში კი სწავლა გაგრძელდება რუსულ ენაზე. 2) ყველა პარალელურ კლასში სწავლა იქნება რუსულ ენაზე. 3) გიმნაზიის ყველა კლასებში ქართული ენის სწავლა სავალდებულოა. 4) მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 23-ს, დილის 9 საათიდან.

გიმნაზიის დირექტორი პ. ჩარექიშვილი. 2036

**სახელმწიფო თეატრი**

1918—19 წლის საოპერო სეზონი ნ. ლ. ლევიცკის დირექცია

ხუთშაბათს, სექტემბრის 19-ს

**ტანგეიზერი**

რიხარდ ვაგნერისა. ოპერა 3 მოქმ და 4 სურათით.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკისა, შვამბერგისა, გარინსკისა, ოვსიანიკოვისა, ვლადინისა, ვიშემირსკისა, გედევანიშვილისა; ბ.ბ. კანშინი, მოლჩანოვი, ვრონსკი, ნიკოლსკი, კურბატოვი, ორლოვი. დადგმა ლევიცკის, დირიჟორი: სტოლერმანი.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 საათიდან სპექტაკლის გათავებამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: პარასკევს, სექტემბრის 20-ს „კარმენი“. 1314

**განცხადება** ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 23-ს ხოლო სწავლა ოქტომბრის 1-ს. 2034

**სასურსათო** საქმის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარილის შესახებ, რომელიც იყო დანიშნული სექტემბრის 5-ს არ შესდგა სხვა და სხვა ფორმალურ მიზეზებისა გამო სამინისტრო ხელახლა იუწყება, რომ სექტემბრის 23-ს, საღამოს 5 საათზე, სასურსათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელ-მეორე საჯარო ვაჭრობა სამინისტროსთვის 800,000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ (მარილი უნდა იყოს კრისტალური, მარცლოვანი). ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, უნდა გამოცხადდენ ზემო აღნიშნულ დროს სასურსათო საქმის სამინისტროს შენობაში. სავალდებულოა შემდეგი:

1) საწინდარი არა ნაკლებ 5,000 მან., რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს

2) სახელი, მამის სახელი და გვარი მსურველისა.

3) დრო, როდის იქნება მოტანილი მარილი, ხარისხი და გვარი მარილისა.

4) ფასი „ფრანკო ვაგონი“ საქართველოს რკინის გზისა.

5) პირობები ფულის გადახდისა.

6) განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დახურულ კონვერტებში არა უგვიანეს სექტემბრის 25-სა 12 საათზე.

კონვერტზე უნდა იყოს დაწერილი: სასურსათო საქმის სამინისტრო. მიმწოდებელ განყოფილების უფროსს.

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრი ლორთქიფანიძე.

მიმწ. განყ უფროსი ადამაია. 1327



**ცირკი „მოდერნი“**

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოთხშაბათს სექტემბრის 19-ს გაიმართება

**წარმოდგენა**

„არტისტიული ხელოვნების თაიგული“

მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ზინკოვსკები, ესმერალდა, პეტერსონი, ვუდი და მაი ნიკოლინი და სხვ.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 2030

ტფილისი, სექტემბრის 19

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია **მაჰმადიანი ქართველები** მეტად ყურადსაღები დოკუმენტი, რომელსაც სამაჰმადიანო საქართველოსათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მოწოდება ეკუთვნის სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს.

მკითხველებმა კარგად იციან, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საუკეთესო კუთხე ჩვენის ქვეყნისა. პროვოკაციით და სხვა და სხვა ბნელი საშუალებებით ჩვენი მოძმე მუსულმანი ქართველები მშობლიურ კერას მოწყვიტეს და თავის მოძმის წინააღმდეგ იარაღი აალებინეს. აჭარლები უდიდეს მონაწილეობას იღებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და დიდი სამსახური გაუწიეს ოსმალეთის ასკერებს. ჩვენ დავკარგეთ ბათომის მხარე და ბრესტ-ლიტოვსკის მძიმე პირობები მოგვახვიეს თავზე. მომძლავრებულმა ოსმალეთმა ისიც კი არ აასრულა, რაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ევალებოდა. მან მოახდინა ყალბი რეფერენდუმი, რომლითაც ვითომ ბათომის მცხოვრებლებმა სურვილი განაცხადეს ოსმალეთთან შეერთებისა. ვამბობთ, ყალბი რეფერენდუმი, რადგან ჯარი არ გაუყვანიათ ოლქიდან და ძალდატანება ხალხზე ძლიერ დიდი იყო. ამას ვახსენებთ იმიტომ, რომ სამუსულმანო საქართველომ მალე იგრძნო შეცდომა, როცა ღვიძლ ძმებს მოშორდა და ბარბაროს ოსმალეთის ხელში ჩავარდა.

ჩვენი საბოლოვო იდეალია ქართველი ერის, მაჰმადიანი ნაწილი იქნება იგი, თუ ქრისტიანი—გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ერთეულად. მაგრამ დღეს ამის იმედი ცოტა გვაქვს. სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს მიზნად დაუსახავს აჭარაში იქადავოს, რათა მიცეს სამაჰმადიანო საქართველოს, რომელიც დღეს ოსმალეთის ხელშია—თვითმმართველობა, მიეცეს ნება თავისი საქმეები ისე განაგოს და გადასწყვიტოს, რანაირადაც ხალხის ძალდატანებითი კი არა, ჭეშმარიტი ნებისყოფა მოითხოვს, და ჩვენ არ შეგვიძლიან დაშორებულ ძმებს არ ვუძღვნათ ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა იმ დიად საქმეში, რომელიც მათ დაუწყიათ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ კომიტეტმა „მოლაპარაკება გამართა დიდ სახელმწიფოებთან, რომლებიც შეგვპირდნენ ბრესტ-ლიტოვსკის პირობის შესრულებასო“, ე. ი. ჯარის გაყვანას და თავისუფალ რეფერენდუმის მოხდენას. საქართველოს მთავრობის მოვალეობაა და იგი ამ მხრით მუშაობს კიდევაც, რომ ეს ასე მოხდეს. ეს იქნება პირველი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული. თავისუფალი სამუსულმანო ჩქარა შეიგნებს თავის ცხოველ ინტერესებს და ბოლოს და ბოლოს იგი ისევ დაუბრუნდება თავის მშობლიურ კერას. და ამ საქმისათვის მომუშავე ზემოხსენებული კომიტეტი ღირსია თანაგრძნობისა და ყოველგვარ დახმარებისა.

## მთავრობაში

სამხედრო მინისტრმა მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა: 1) მოხსენება 25 ათასი მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ განმანადგურებელთა ნაწილების შესაძენად. 2) სამი შტატი: ა) გენერალურ შტაბთან სამსახურის ნაწილისა. ბ) კერძო რადიო ტელეგრაფის როტისა გ) რადიო ტელეგრაფის როტასთან არსებულ სამსახურის კავშირის პარკისა 3) გენერალურ შტაბთან არსებულ სატელეგრაფო კანტორისა. 4) მოხსენება ფოთში კომენდანტის თანამდებობის დაარსებისა (შტატით) 5) შტატები ტფილისის კერძო საყარაულო რაზმისა 6) მოხსენება აზერბეიჯანიდან 100000 ფუთი ხორბლის შემოტანის შესახებ. 7) სამხედრო სამინისტროსთან გენერალთა და შტაბ-ოფიცერთა თადარიგის (რეზერვის) დაარსების შესახებ.

—

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს საგარეო საქმეთა სამინისტროს აწყურში სადემარკაციო ხაზის გასავლებლად საჭირო ხარჯების დასაფარავად 5,000 მან.

—

დადგენილია მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება, მისცეს ქალაქთა კავშირს სამხედრო სამინისტროსთვის უვარგისი საქონელი მეორე სამხედრო საწყობიდან განსაზღვრულ ფასებში.

—

შრომის მინისტრის მოხსენება და კანონ-პროექტი იმის შესახებ თუ რა დღეებში იქმნეს დღესასწაულები, მოწონებულ იქმნა და წარედგინა ეროვნულ საბჭოს.

—

შინაგანან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა აუკრძალოს სოჭის ქალაქის თვითმართველობას ბონების გამოშვება.

—

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით ადერბეიჯანას მთავრობასთან საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დაინიშნა ნიკ. თ. ქარცივაძე.

—

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით დადგენილ იქმნა: დაევალოს ფინანსთა მინისტრს საჩქაროდ წარადგინოს ეროვნულ საბჭოში მოხსენება 10 მილიონიან ფონდის აღდგენის შესახებ.

—

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით დადგენილ იქმნა: მიეცეს მთავრობის მთავარ რწმუნებულს არდიშვილს პურის შესაძენად ოპერაციის საწარმოებლად 3 მილიონი მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან.

—

განათლების მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქნა შესდგეს სამხედრო მინისტრის თავმჯდომარეობით კომისია სახალხო განათლების და საგარეო საქმეთა სამინისტროების, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის და გერმანელთა მისიის წარმომადგენელთაგან ყაზარმების დასათვალიერებლად, რომ სასკოლო კომისიები განთავისუფლებულ იქნას ამ მოვალეობიდან.

# უკანასკნელი ცნობები

### სამურზაყანოში.

სამხედრო მინისტრს ოჩემჩირედან კონიაშვილი და ჯუღელი ატყობინებენ: სამურზაყანოს ნაწილში სახალხო გვარდიის რაზმმა დაატყვევა ასამდე ოსმალოს ასკერი, რომელნიც გამოწყობილნი არიან ოსმალეთის ჯარის საფორმო ტანისამოსში. ღრმად ვართ დარწმუნებულები რომ სამიოდე დღის განმავლობაში სამურზაყანოში სრული სიმშვიდე ჩამოვარდება, რადგან მეთაურები დარწმუნდნენ თავიანთ უძლურებაში და გვნებდებიან და პატიებას თხოულობენ.

### ბორჯომი.

სამხედრო მინისტრს ბორჯომიდან ლ. რუხაძე ატყობინებს: მიუხედავად დაპირებისა, რომ გენერალი მაყაშვილი ბორჯომის რაიონში იქნებოდა დატოვებული, ის მაინც გაიწვიეს აქედან. ვინაიდან აუცილებელია ეროვნულ სოლიდარობის აღსადგენად და საზღვრების დასაცავად მაყაშვილის აქ ყოფნა, გთხოვთ დასტოვოთ იგი აღნიშნულ რაიონში ამასვემოით ხოვენ აწყურის მაჰმადიანები

# ეროვნული საბჭო

### 17 სექტემბრის კრება.

კრება იხსნება 12 ნახ. საათზე. თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

დღის წესრიგია: 1) საბოლოო ტექსტი საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო ტარიფის გადიდების კანონისა, 2) სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის საბოლოო ტექსტი, 3) ა. ახმეტელის შეკითხვა, 4) კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის გერბისა, 5) ხელშეკრულება ადერბეიჯანის მთავრობასთან 80 მილიონის ბონების გამოცემის შესახებ, 6) კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ, 7) წინამძღვარიანთ კარის სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების კანონი. მომხსენებელნი: შ. ამირეჯიბი, ა. ახმეტელი, რ. ივანიცკი, კ. მაყაშვილი და დ. ონიაშვილი.

დ. ონიაშვილი კითხულობს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმისადმი ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციის შვიდი წევრისას რომელნიც აცხადებენ: ნაც. დემ. ძველი ფრაქცია გაიყო და ამიერიდან საბჭოში ჩვენ დამოუკიდებელ ნაც. დემ. ფრაქციად ჩაგვთვალეთო. ახალ ფრაქციის თავმჯდომარეა გ. ვეშაპელი და მდივანი რ. გაბაშვილი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის სხდომა სამჯერ იყო დანიშნული და არც ერთხელ არ შესდგა, ამიტომ მოუწოდებ წევრებს, საქმეს სათანადო ბეჯითობით მოეპყრანო.

შ. ამირეჯიბი კითხულობს საფოსტო ტარიფის გადიდებისა და სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის საბოლოო რედაქციებს კრება უშენიშვნოდ ამტკიცებს მათ

**შეკითხვა მთავრობისადმი პურისა და სასურსათო ნიადაგზე საქართველოს დამოუკიდებლობის წინაღმდეგ.**

**ა. ახმეტელი.** სურსათის ორგანიზაცია ეს ის უტყუარი ბარომეტრია, რომლის საშუალებითაც განიზომება ამა თუ იმ სახელმწიფოს კულტურული და ეკონომიური სიძლიერე ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის საკითხი უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად მოგვარებულია სურსათის საკითხი. ამან დაღუპა რუსეთი, ამისავე უკანონო შვილია ბოლშევიზმი და ალბად ესავე მისცემს მათ მონარქს. ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ჩვენმა ბათომთან დამარცხებამ წარმოშვა და ჩვენი უძლურება მოხდა მიზეზი საქართველოს ჩამოყალიბებისა. ეს რომ არ ყოფილიყო ეხლა სადაც წერეთლები სხედხართ, მანდ ისევ ხანხოისკები და ხატისოვები ისხდებოდნენ. და სწორედ ჩვენივე სისუსტე საშინელი მტერი ჩვენის სახელმწიფოსი და ეს უძლურება კი უმთავრესად სასურსათო უორგანიზაციობაში გამოიხატება. მთავრობამ უარჰყო საკუთარის პურით მცხოვრებთა და ჩვენი ჯარის დაკმაყოფილება და თვისი იმედები უცხო პურზე დაამყარა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რა მოგველის რომ გარედან ვერ მოვახერხოთ შემოტანა ეჭვი არ არის, დიდი განსაცდელი, ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ღონისძიების მიღება, რომ საქართველოს პურით უპირველესად საქართველოს მოქალაქენი იკვებებოდნენ. პურის საკითხის მოგვარება უმთავრესად დაკავშირებულია ჩვენს შინა მრეწველობასთან, რომელიც ეხლა იკიდებს ფეხს, რადგანაც იგი გარეშე კაპიტალის მეტოქეობისაგან თავისუფალია, მაგრამ რომელსაც შინაური სპეკულიაცია უშლის ხელს. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი მუშების ანარქო-ბოლშევიკური მოთხოვნილება. განა ეხლა მუშა ხელი რაიმე ღირებულებასა ჰქმნის? იგი თხოულობს ყველაფერს და ამასთან ერთად დიდ ჯამაგირს. ეს სპეკულიაციაა, რომელიც დაღუპვას უქადის ჩვენს ქვეყანას საქართველო იარსებებს მხოლოდ, როგორც ძლიერი ბურჟუაზიული სახელმწიფო, ან არა და როგორც სოციალისტური და დემოკრატიული, იგი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ეხლა საჭიროა გაბედული შეტევის პოლიტიკა და არა ლოიალობა, როგორც ეხლა სოციალისტები აწარმოებენ, ვერ ნახავთ ვერც ერთს კლუბს, რესტორანს, ქუჩას სადაც ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას არ აწარმოებდნენ სურსათის ნიადაგზე მაგრამ ასეთ ბუდედ დღეს ტფილისის თვითმართველობა გამხდარა სადაც სხედან ისეთი ხმოსნები, ვინც საქართველოს მოქალაქეთაც არ ითვლებიან. ქალაქის სავადმყოფოდან ტოლერიანცია ტანისამოსს სოფლადა ჰგზავნიან და პურზედა სცვლიან—ავრცელებენ ეპიდემიას და პროვოკაციას. განა დრო არ არის ასეთი მამების გარეკისა? თუ საქართველოს გადარჩენა გინდათ, საჭიროა უარჰყოთ სოციალისტური — ინტერნაციონალური პოლიტიკა და მიიღოთ ეგოისტური ზომები, რომ თავი დავაღწიოთ საშიშ განსაცდელს.

**სურსათის მინისტრი ლორთქიფანიძე** სანამ ბ. ახმეტელი თავის შეკითხვას დაასაბუთებდა, ვაპირებდი მეთხოვნა რომ ეს საკითხი მომავალ კრებისათვის გადაგვედო. ვინაიდან ვიმუშავებთ მომავალ სასურსათო საკითხს და არსებითად პასუხიც მაშინ გამეცა. მაგრამ რადგან ეს შეკითხვა რამოდენიმეჯერ გადაიდო და ამის გამო საყვედურებიც კი ისმოდა, მე არაფერი ვსთქვი. ახმეტელმა რიხიანად წაიკითხა აქტი—მაგრამ იძულებული ვარ პასუხად ისევ ის განვაცხადო, რაც წარსულ კრებაზედა ვსთქვი: თქვენ იწუნებთ ერთს საშუალებას, მეორეს კი არ ასახელებთ, მე ეჭვი არ მინდა შევიტანო ახმეტელის გულწრფელობაში. მაგრამ ალბად ასეთი სენი საერთოა და ყველას მარტო დაწუნება უფრო ეადვილება ვინაიდან ეს მხოლოდ სიტყვებს მოითხოვს. რასაკვირველია. ეხლა ადვილია იმაზედ ლაპარაკი, რომ პურზე თავისუფალ ვაჭრობის შემოღებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ჩვენ როცა ამას ვაკანონებდით, ანგარიშს ვუწევდით საზოგადოებრივ აზრს, რომელიც სწორედ ამ თავისუფალ ვაჭრობის შემოღებას მოითხოვდა, ასეთმა ზომამ ვერ გასჭრა რადგან ყველა, ვისაც კი ერთი დახეული საბანი ან სხვა რაიმე მოეპოვება დადის სოფლად და პურზედა სცვლის ასეთ ვაჭრობაში, რასაკვირველია, ძნელია საქმის სასურველად მოგვარება.

უნდა მოგახსენოთ, როგორის საშუალებით ცდილობდა მთავრობა და რას აპირებს ეხლა: რადგან ჩვენში პურის თავისუფალმა ვაჭრობამ შედეგი ვერ მოიტანა. ჩვენ ახლად ვიმუშავებთ სასურსათო კანონს, რომელიც საჩქაროდ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ჩვენ დიდი ორგანიზაცია გვქონდა ჩრდილო კავკასიაში მოწყობილი. ამ ორგანიზაციამ 200 ვაგონი პური უკვე შეისყიდა და უნდოდა გამოეგზავნა, მაგრამ აჯანყებულებმა გზები შეჰკრა და საშუალება მოგვისპო შემოტანისა. ეხლაც იქ არის ჩვენი წარმომადგენელი და ელის ზომებს. ადერბეიჯანს აკრძალული ჰქონდა თავის საზღვრებიდან პურის გატანა მაგრამ მოვახერხეთ ასეთი პირობის დადება, რომ პურს მოგვცემს. ამ დღეებში იქიდან 80,000 პური და ქერი შემოვა ჩვენში, ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე მზად არის თვეში 100 ვაგონი პური გვაძლიოს. ცნობა მოგვივიდა რომ ამ პურის ნაწილი უკვე მოსულია ნოვოროსიაში. გერმანიასთან ხელშეკრულება გვაქვს დადებული უკრაინით. მან 3000 ტონი პური უნდა შემოიტანოს. როცა მთავრობამ გადასწყვიტა პურის უცხოეთიდან შემოტანა ჩვენმა მდიდრებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა წინადადებით მოგვმართეს: უმთავრესი პირობების დადება აკაკი ხოშტარიასთან უნდა მომხდარიყო მაგრამ ის პურის მონოპოლიას თხოულობდა საქართველოში. ჩვენ ეს უარვყავით. რამოდენიმე ფირმამ შემოგვთავაზა პურის შემოტანის ხელშეკრულება, როგორც იყო მოვახერხეთ ვინმე შტრანიკთან პირობის შეკვრა. მან დაგვიტოვა 50 0 მანეთი საწინდარი და პური ამ დღეებში უნდა შემოეტანა. მაგრამ საქმე ცოტად შეფერხდა, რადგან გემი თავის დროზე ვერ მივეცით. ცნობა გვაქვს მიღებული, რომ მან პური უკვე შეიძინა და ამ მოკლე ხანში შემოიტანს. აი, მთავრობის მიერ ეს ზომებია მიღებული პურის საშოვნელად. დაგვისახელეთ სხვა ისეთი გზა, რომელიც ყველა ამ ზომისაგან განსხვავდება და მაშინ გვისაყვედურეთ. ამ რიგად მოკლე ხანში მოგვივა ამ სურსათის ნაწილი რომელიც მცირედ მაინც უზრუნველ ჰყოფს ჩვენს მოქალაქეებს. ამის ნიადაგზე ყალბი ხმები ვრცელდება, უმთავრესად იმ პირთა და დაწესებულებათა წყალობით, ვისაც არ მივეცით ასეთი მონოპოლიები. ასე მოგვექცენ მარილის შესახებაც. პროვოკაცია სასურსათო ნიადაგზე, რასაკვირველია, სწარმოებს, მაგრამ ჩვენ მას ვებრძვით როგორც სხვა კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას ასე ვრცლად მიტომ შევეხე ამ საკითხს რომ მეცნობებინა თქვენთვის მთავრობის ზრუნვა ამ საკითხისათვის

**თავმჯდომარე** აცხადებს: რეგლამენტის ძალით შემოტანილ შეკითხვას მთავრობამ ან მაშინვე უნდა უპასუხოს, ან და შემდეგ კრებამდე გადაიდოს. ეხლა არსებითად მთავრობამ პასუხი უკვე გასცა, მაგრამ მინისტრი მოითხოვს შემდეგ კრებაზე იქნეს კამათი. მომხრე ხართ თუ არა კამათის გადადებისა?

**რ. არსენიძე.** სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით უნდა მოგახსენოთ, მართალია შეკითხვა საყურადღებოა, მაგრამ მასში რამოდენიმე შეკითხვაა და არ არის ერთი მთლიანი ღერძი, რომლის გარშემოც კამათის წარმოება შეიძლება. მთავრობა ამბობს რომ ერთის კვირით გადაიდოს კამათი. უმჯობესია მართლაც გადავდოთ და როცა მთავრობის ახალი პროექტი შემოვა, არსებითი კამათიც მაშინ გავხსნათ ამის შესახებ

**გ. ვეშაპელი** დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატების ფრაქციის სახელით მოითხოვს კამათის გაგრძელებას, რადგან მთავრობამ პასუხი უკვე გასცა. კენჭის ყრით სწყდება კამათი მომავალ კრებისთვის გადაიდოს.

### საქართველოს რესპუბლიკის გერბი.

**კ. მაყაშვილი.** გერბის საკითხი ჩვენს მთავრობას ორი თვის წინად დაებადა — როცა აღიძრა ქართულ ფულის საკითხი. მოწვეულ იქმნენ მცოდნე პირნი, გაიმართა აზრთა გაცვლა და გადასწყდა საქართველოს ემბლემად აღიარებულ იქმნას თეთრი გიორგი შვიდის მნათობით. ამ აზრს მთავრობის ზოგი წევრი არ დაეთანხმა, ფრაქციებიდან სხვა და სხვა წინადადებები შემოვიდა და მოითხოვეს და გადასწყვიტეს საქართველოს გერბად გამოცხადებულიყო ამირანი. ამის შესახებ დაინიშნა კონკურსი, მაგრამ კონკურსი არ შესდგა, რადგან მხატვრებს გაუჭირდათ ამგვარი გერბის არჩევა და ესთეტიურის მხრივაც შეუფერებლადა სცნეს. ამრიგად გაჭიანურდა და გაგრძელდა ეს საკითხი და აი, ხელახლა წარმოგიდგენთ გადასაჭრელად. მე მომხრე ვარ თეთრი გიორგისა, რადგან იგი ხალხის ფსიქოლოგიურ მისწრაფებას გამოხატავს და მისი ფაბულაც არ ეკუთვნის ქრისტეს ეპოქას. (მაყაშვილი კითხულობს თქმულებებს თეთრი გიორგის შესახებ. მრავალი თქმულება არსებობს და თვით ევროპიულ ენებზე საქართველოს სახელიც სწორედ ამ გიორგისთან დაკავშირებით იხსნება. მაგალითად: „გიორგიენ", „ჯორჯენ", „გეორგიშე" და სხვა. მე მიყვარს ამირანი როგორც პოეტური მითი, მაგრამ იგი სახელმწიფოს გერბად არ არის მისაღები

ამიტომ მე ვსთხოვ ეროვნულ საბჭოს, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ემბლემად დაადასტუროს თეთრი გიორგი შვიდის მნათობით.

**ი. წერეთელი.** გერბის საკითხზე მსჯელობა დიდად გაგრძელდა, მრავალი კერძო თათბირი გაიმართა. გაირჩა ეს საკითხი, მაგრამ ჯეროვანი გადაწყვეტილება ჯერაც ვერ გამოვიტანეთ. ჩვენს ფრაქციაშიც არ არის ერთსულოვნება ამ საკითხის შესახებ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გერბის მიღების დროს ხმის თავისუფალი მიცემა. სოციალ დემოკრატების ფრაქციის უმრავლესობას ამირანის გამოხატულება მიაჩნია სასურველად გერბისათვის, ვინაიდან იგი სავსებით გამოჰხატავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. გერბი სახელმწიფოს ორგვარად ახასიათებს: შეგნებული წარმოშობა სახელმწიფოსი და მისი შინაგანი დასურათება გერბში და სტიქიური მიმდინარეობის გამოხატულება. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოც შეგნებით დაიბადა და ტრადიციებს კი არ უნდა ემყარებოდეს, შეგნებით უნდა გამოსჭვიდოს თავისი მომავალი. კლერიკალური გერბი მიუღებელია ხალხის წარმოდგენაში. (ნაც. დემ. ფრაქციაში იცინიან; აქ ბევრი იცინის ამის შესახებ, მაგრამ ეს უცოდინარობით კი არ მოსდით (რადგან ჩვენ ფრიად განათლებული ოპოზიცია გვყავს), არამედ იმიტომ რომ მათ თეთრი გიორგის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ მაგრამ უფრო არაფერი ექნებათ **წმინდა გიორგის** საწინააღმდეგო. (ვეშაპელი ადგილიდან. წითელ გვარდიას დაეკითხეთ.) დიახ, იმ წითელ გვარდიასაც უნდა დავეკითხოთ, რომელიც ტუაფსეს ფრონტზე გულს უშვერს მტრის მახვილს, იმ წითელ გვარდიის მეთაური ჯუღელიც სწორედ ამირანის მომხრეა, რადგან ამირანში ქართველი დემოკრატია და თანამედროვე საქართველო თავის თავსა სცნობს, ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღოს სახელმწიფო გერბად ამირანი და არა თეთრი გიორგი.

**გ. ვეშაპელი.** საქართველოს სახელმწიფო ტრადიციებით ჩამოყალიბდა. თქვენ მიიღეთ თვით ტრადიციული სახელი სიტყვა საქართველო, მერე ტრადიციული დროშა, ეხლა ტრადიციული გერბიც უნდა მიიღოთ. ნუ გეშინიანთ საქართველოს სახელმწიფო გერბი მეფეთა გერბი არა ყოფილა, ბაგრატიონების გერბი განირჩეოდა თეთრი გიორგისაგან. ამიტომ გირჩევთ თეთრი გიორგი დაადასტუროთ.

**აკაკი ფ ლავ.** თავიდანვე, როცა ეს საკითხი დაისვა ჩვენს ფრაქციაში გადასწყდა თავისუფალი ხმის მიცემა. ირაკლი წერეთელს ამირანი მიაჩნია შესაფერად, რადგან ეს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას გამოხატავსო, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხომ წარმავალია, საჭიროა მივიღოთ ისეთი გერბი რომელიც მარადიულ ემბლემას გამოხატავს. თეთრი გიორგი ხალხის შემეცნებაში სიკეთისა და სინათლის ბრძოლაა ბოროტებასთან და ეს მარადიული მისწრაფებაა ჩვენი ერისა ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ თეთრ გიორგის შვიდის მნათობითა როგორც მარადიულ იდეას.

**თავმჯდომარე.** კენჭს უყრის ამ საკითხს. ხმის დიდი უმეტესობით ეროვნული საბჭო საქართველოს რესპუბლიკის გერბად ამტკიცებს თეთრ გიორგის შვიდის მნათობით.

კრება სწყდება 4 საათზე

# ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი 9—17.** კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი ფლანდრიაში მზერავთა მოქმედებაა გაცხოველებული. იპრის სამხრეთით მტრის ნაწილობრივი იერიშები დამარცხდა, არხთან პრომერანელი გრენადერები დაესხნენ მტრის პოზიციებს სოში-კომკიან და ტყვეები წ. მოიყვანეს გავრიკურტის რაიონში დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა მწვავდებოდა ქვეითა ჯარის შორის ბრძოლა არ ყოფილა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ელეტსა და ენს შუა მტრის იერიშები გრძელდება. ჩვენ ავიღეთ ვოქსელიონის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობის აღმოსავლეთის ფერდობი; სადაც მტერი იყო გამაგრებული. ლაფოსკენ მიმავალ გზატკეცილზე მტერმა კვლავ დაგვახევინა. ნაშუადღევს მტერმა განაახლა საარტილერიო მზადების შემდეგ თავისი აგრესიული მოქმედებანი, რომელიც განოვერისა და ოლდენბურგის სათადარიგო ნაწილებმა დაამარცხეს: ამათ საღამოთი კიდევ რამდენადმე წინ წასწიეს მათი პოზიციები, ბრანდენბურგის მე 5 ქვეითა დივიზიამ არა ერთხელ მოიგერია მტრის მიერ ჯავშნოსნების დახმარებით მოტანილი იერიშები. ვეილის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა გრძელდება, მაგრამ სუსტი. შამპანის რაიონში მტრის იერიში მოვიგერიეთ ნიპორტის სამხრეთით.

# ჟურნალისტის დღიური

7.

### დროული კურსები

მიწათ მოქმედების სამინისტროს განუზრახავს საღამოს კურსების გამართვა რესპუბლიკის ტყეების საჭირო მცოდნე მოხელეთა კონტიგენტის მოსამზადებლად. არ შეგვიძლიან ამ განზრახვას განსაკუთრებულის სიამოვნებით არ მივეგებოთ და არ ვურჩიოთ ახალ-გაზდებს ჩაეწერნონ კურსებზე დროული და სასარგებლო საქმის შესასწავლად. კულტურულ ქვეყნებში განსაკუთრებულის სიფაქიზითა და ყურადღებით ექცევიან ტყეს. ტყემ უნდა შეინახოს ჩვენში სუფთა ჰაერი, ტყემ უნდა შეუწყოს ხელი კურორტების განვითარებას, ტყემ უნდა შეუნახოს ხალხს ის, ურომლისოდაც ძალიან მალე ჩვენი ქვეყანა უდაბნოს ხრიოკს დაემსგავსება,—წყალი, ქართლში, რომელსაც ამ სტრიქონების დამწერი უფრო იცნობს, უკვე უწყლობას განიცდის ისეთი სოფლები, რომელთაც რამდენიმე წლის წინათ სიზმარშიაც არ მოლანდებით ისეთი გაჭირვება, რანაირიც წელს დაატყდათ თავსა. მაგალითისთვის გორის მაზრის სოფელ კავთისხევს მოვიყვან ამ სოფელს თავისავე სახელწოდების მდინარე ჩამოუდის იყო დრო, როდესაც ეს მდინარე სახლის ოდენა ლოდებს აგორებდა. დღეს კი პატარა ნაკადი ღა ჩამოდის და ამ ნაკადის გასაყოფად ლამის არის ერთმანეთს შეეხოცნენ სოფლის მცხოვრებნი. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ მშვენიერად შენახული ტყე ქვაბთახევის მონასტრისა ხალხმა გაჩეხა და უზარ-მაზარი ადგილები ხრიოკად აქცია.

საზოგადოდ ხალხოსნური მოძრაობა უპირველესად ყოვლისა ტყეს დააზარალებს ხოლმე სოფელში ვერ აღმოჩნდა ისეთი შეგნებული წრე, რომელიც ველურ ინსტინქტს შეაკავებდა და ტყეს საშინელი გაჩეხვისა და განადგურებისაგან გადაარჩენდა თუ ასე გაგრძელდა საქმე, თუ ხალხმა ისევ ძველებურად, ბარბაროსულად განაგრძო ტყის ჩეხვა და ექსპლოატაციის საქმე რაციონალურად არ მოეწყო, უდიდესი ნაწილი ქართლისა ითის საცოდავობაში ჩავარდება, რანაირიც დიდხანს არ უნახავს.

ხალხს თავისი უკულტურობისა და გაუნათლებლობის გამო ეს არ ესმის ხალხი დროულ სარგებლობას მისდევს და ანგარიშს აღარ უწევს იმ გარემოებას, რომ ყოველივე უხეიროდ მოჭრილი ხე და გავერანებული ტყე მასა და მის შვილებს ცხვირიდან ძმარს ადენს მაგრამ სახელმწიფოს, მთავრობას ეს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და ტყის ექსპლოატაციის საქმე წესიერ კალაპოტში ჩააყენოს. საჭიროა როგორც სავალდებულო დადგენილებათა და სათანადო კანონების გამოცემა, ისე მოსამსახურეთა საკმაო კონტიგენტის მომზადება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ალბათ, სწორედ ასეთი განზრახვებით მოუწყვია საღამოს კურსები. სასურველია საზოგადოება გამოეხმაუროს ამ საქმეს. განსაკუთრებით სასურველია გამოეხმაუროს ახალგაზდობის ის ნაწილი. რომელსაც შეუძლიან და განზრახვა აქვს ამ დარგში იმსახუროს და თავისი პატიოსანი და ნაყოფიერი შრომით სარგებლობა მოუტანოს კრებსა და ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო საქმეს.

**შინაური.**

# ახალი ამბავი

**ვანო სარაჯიშვილის ავადმყოფობა.** მომღერალი ვანო სარაჯიშვილი გულის ანთებით გამხდარა ავად. მდგომარეობა სერიოზულია.

**მთავრობის საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში** თხოვნების მიღება ოქტომბრის 1-მდის გაგრძელდება. პირველ გაეროვნებულ კლასში უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელთა ანუ საშუალო სასწავლებლის 4 კლასის კურსს დამთავრებულნი მიიღებიან. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი მთავრის ქ., № 70.

**სახელმწიფო უნივერსიტეტი.** სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ი. ჯავახიშვილი თელავში გაემგზავრა ორი კვირით დასასვენებლად და დეკანის მოვალეობის ასრულება მიანდო ს. ბჭოს მდივანს, პროფესორს ი. ყიფშიძეს.

— რადგან სწავლის დაწყების დრო მოახლოვებულია, უნივერსიტეტის გამგეობამ მისწერა ქალაქის თავს შენობაში მოთავსებული ლტოლვილები სხვაგან გადაიყვანოს.

— საექიმო ნაწილის აუდიტორიების და ლაბარატორიების მოწყობის საქმეს სამკურნალო ფაკულტეტის დეკანს ვ. მოსეშვილთან ერთად, რექტორი, დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილიც მუყაით ხელმძღვანელობას უწევს.

— თხოვნები სამივე ფაკულტეტებში ბლომად შემოდის.

— დასვენების შემდეგ ტფილისში დაბრუნდა პროფ. შ. ნუცუბიძე.

— მდივან-მწიგნობრის თანაშემწე სანგანიძე ჩამოვიდა და თავის მოვალეობას შეუდგა.

— ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები ამ დღეებში გადავლენ სხვაგან და უნივერსიტეტის შენობა სრულიად განთავისუფლებული იქნება.

**სიღნაღის მთავრობის გიმნაზიაში** სწავლა დაიწყება ოქტომბრის 1 ს მისაღები და განმეორებითი გამოცდები დანიშნულია 27—30 სექტემბერს მიიღებიან მოწაფეები 5, 6, 7 კლასებში. თხოვნები უნდა გაიგზავნოს გიმნაზიის დირექტორის სახელზე.

**შემოწირულება:** მე 5 ვაჟთა გიმნაზიის დირექტორ ი. ჯიშკარიანისაგან უნივერსიტეტის სასარგებლოდ მივიღეთ 250 მან. და წითელ ჯვრის სასარგებლოდ 200 მან.

**ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე ფრეილინის ქ. 11, შესდგება ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი კრება.

**არსენ მამულაიშვილის („ლალიონის") გარდაცვალება.** უეცრად გარდაიცვალა ეროვნულ საბჭოს წევრი, ყოფილი მასწავლებელი და ბელეტრისტი არსენ მამულაიშვილი („ლალიონი").

**შუამდგომლობა.** განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე რათა სასწრაფოდ დაკმაყოფილებულ იქმნან ის პროვინციის მასწავლებლები, რომელთაც დიდი ხანია ჯამაგირები არ მიუღიათ ხაზინაში ფულის უქონლობის გამო

**სასწავლებლებში.** განათლების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ტფილისის საშუალო სასწავლებლებში გაიხსნას მაჰმადიანთა განყოფილებანი, თუ მოწაფეთა საკმაო რიცხვი აღმოჩნდება.

**თავისუფალი ვაჭრობა.** მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა დაუგზავნა საქართველოს ყველა კუთხეში მთავრობის წარმომადგენლებს: ცნობები მოდის, რომ მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა სურსათის გადატანისა და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ საქართველოს საზღვრებში, გარდა ბორჩალოს მაზრისა, ზოგიერთი ქალაქის მართველობა და მთავრობის წარმომადგენლები მაინცართმევენ პურსა და სხვა სანოვაგეს. უბრძანებ საგუბერნიო კომისრებს და მთავრობის წარმომადგენლებს თვალყური ადევნონ ამას და ის პირები, რომელნიც სურსათის რეკვიზიციას ახდენენ, დაატუსაღონ და სამართალში მისცენ; შინაგან საქმეთა, გზათა და სურსათისა, სამხედრო და იუსტიციის მინისტრებმა დაუყონებლივ აცნობონ ეს განკარგულება დეპეშით მთავრობის წარმომადგენლებს და ყოველთვის მაცნობონ მე, თუ იქნება შემთხვევა რეკვიზიციისა.

**საერობო არჩევნები** ყველგან ბრწყინვალედ მიმდინარეობს. იგი უკვე დამთავრდა გასული თვის ბოლოს ყველგან, გარდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებისა. ტფილისის მაზრის არჩევნები დამთავრდა, გარდა ყარაიაზის რაიონისა, სადაც იქაური თათრები ჯერ არ დაბრუნებულან საძოვარ ადგილებიდან

— ახალ-სენაკში უკვე მეორე სხდომა გაიმართა საერობო ხმოსნებისა: თავმჯდომარედ აირჩიეს ნაფიცი ვექილი მალნარაძე. მისალმების დეპეშები გაუგზავნეს ეროვნულ საბჭოს და მთავრობის თავმჯდომარეებს საერობო გამგეობაში აირჩიეს აკაკი ფიჩხაია და პეტრე ქავთარაძე.

**ინგლისელი მფრინავები ბაქოს რაიონში.** განჯიდან მოსული ცნობით, იქ მოიყვანეს ბრიტანელი მფრინავი, რომელიც აგდამის მიდამოებში ფრინავდა და ადგილობრივმა მუსულმანებმა შეიპყრეს იგი მისივე დაზიანებული ჰაეროპლანით. მფრინავს წერილი უნახეს, სადაც ნათქვამია, რომ ბრიტანიის მთავრობა 250 ლირას მისცემს მას, ვინც დახმარებას აღმოუჩენს მფრინავს, უპოვეს აგრეთვე სხვა და სხვა დოკუმენტები, ოსმალური ლირები და სპარსული კრონები მფრინავი ენზელიდან გადმოფრინდა. აეროპლანისათვის აგდამში სპეციალისტები გაემგზავრნენ.

**შაბი.** ტფილისში დაბრუნდა გეოლოგთა და ქიმიკოსთა სპეციალური კომისია, რომელმაც სანანის რაიონში დაათვალიერა შაბიანი ადგილები. როგორც აღმოჩნდა, შაბი იქ ბევრია. ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს ეს შაბი მოიხმაროს წყლის გასაწმენდად ავჭალის წყალსადენის სადგურზე.

**ხოლერა** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 9 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავადმყოფი: ხოლერიანთა განყოფილებაში საეჭვოთა განყოფილებიდან გადმოიყვანეს 1 ავადმყოფი მორჩა 4, გარდაიცვალა 11 ხოლერიანი და 2 საეჭვო ავადმყოფი სექტემრის 17-ს სულ იყო 110 ხოლერიანი და 14 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

**მკვლელობა.** სექტემბრის 17 ღამით მერვე კომისარიატის რაიონში მოკლულ იქმნა პრაპ. ივ. ივ. პანჩალაძე. ეჭვით შეიპყრეს ჯარის კაცი ჯიჯალავა.

**ბაქოში გამგზავრება.** ამ დღეებში გაემგზავრება გენ. მაღალაშვილის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანია ბაქოდან საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ევაკუაციის საქმე მოაწყოს და ნავთისა და მაზუთის ბაქოდან გამოტანის შესახებ მოელაპარაკოს ადერბეიჯანის მთავრობას

**თავდასხმა.** სექტემსრის 16, საღამოს 8 საათზე „ნოე"-ს სასტუმროში მცხოვრებს ვლ. დავითაიას და წაართვეს 55 ათასი მანეთი

**ლორიის ქუჩაზე** ბოროტგამზრახველები დაეცნენ ლ. პრობიანცს და წაართვეს 14,000 მან. ბოროტგანმზრახველები მიიმალნენ.

**სახოფლო კომისიამ** დაადგინა: მიჰმართოს ტფილისის მუშებს თხოვნით წარუდგინონ იმ მუშების სია, რომლებიც მოისურვებენ და შესძლებენ სოფლად ორგანიზაციულ მუშაობას.

**დუშეთის მაზრის გამომძიებელი** პ. კახიანი საყოველთაოდ აცხადებს, რომ გამოძიება სრულდება და სთხოვს ყველას, ვისაც კავშირი აქვს დუშეთის ამბებთან და შესახებ ცნობები მოეპოვებათ რაც შეიძლება მალე მიაწოდონ იგინი, რომ გამოძიების საქმე არ გაჭიანდეს ცნობები მიიღება სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში დილის 10—2 საათამდე.

## საქ. სოც.-ფედ ს რევ. პარტიაში

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მესამე თავისუფალი კონფერენცია, დელეგატების დაგვიანების გამო გაიხსნა სექტემბრის 17-ს კადეტთა კორპუსში. დამტკიცებულ იქმნა რეგლამენტი და არჩეული პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ აირჩიეს: გიორგი ლასხიშვილი, ამხანაგებად იოს ბარათაშვილი და მიხ გავაშელი. მდივნებად: ნიკ აბესაძე, ვ. ძიძიგური, მ. ბერძნიშვილი, მიხ. ტყავაძე.

—

დღეს სექტემბრის 19-ს საღამოს 6 საათზე კადეტთა კორპუსის შენობაში დანიშნულია საქართველოს რკინის გზის სოც.-ფედ. მოსამსახურეთა კრება ფრიად საჭირო კითხვის გამოსარკვევად ამხანაგებს უსათუოდ ვსთხოვთ დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში

რედაქციას შემდეგი ცნობა მოუვიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ განხეთქილების შესახებ:

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის მეორე საგუბერნიო კონფერენციამ იქონია მსჯელობა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ინცინდენტის შესახებ და მიიჩნია მთავარ კომიტეტის გარდაწყვეტილების შემლახავთა მოქმედება და საქციელი პარტიის ეთიკისა და დისციპლინის აშკარად დარღვევად და ამიტომ კონფერენცია სრულებით მიზანშეწონილად აღიარებს მთავარ კომიტეტის ზომას ინცინდენტის, მიზეზთა დავით ვაჩნაძისა და მიხეილ მაჩაბლის წინააღმდეგ, დასასრულ ნდობას უცხადებს მას, ხოლო პარტიის იმ წევრთა მოქმედება, რომელთაც მხარი დაუჭირეს ზემოხსენებულს ორს პირს და მით პარტიულ ორგანიზმის დაშლას ხელს უწყობდნენ, კონფერენციამ მიიჩნია შეუწყნარებლად და გამოსთქვამს მტკიცე სურვილს მიღებულ იქმნეს ზომები ინცინდენტის პარტიის ინტერესების მიხედვით სალიკვიდაციოდ.

კონფერენცია მოხდა 15 ენკენისთვეს; რეზოლიუცია მიღებულ იქმნა ერთხმად.

კონფერენციის თავმჯდომარე **თორაძე**".

## სონეტი

მსიცხავს სონეტი შეთეთრილი, მუდამ ცაფერი,
მიყვარს წარსული და პეტრარკას თეთრი სახება,
ცხელ ღამეებში მელანდება ვიწრო ოალები
თვალს ეკარგება იალქნებით სავსე ნაპირი.

შეუცნობლად გადავდივარ ჯვაროსნობაში:
იქ ბოკაჩიო. თეთრი დანტე, თეთრი ქალითა..
აზლაპრებული მე სევდიან ფიქრს ვმარგალიტავ:
ასისხლებული ესპანეთი, როგორც აპაში..

ფილიპე მკაცრი, ქვიურ სახით, ფარულ ოხვრებით.
ჯვარცმის ლურსმები, მკითხავები და ჯადოქრები.
მაჯლაჯუნებით აინთება თეთრი კოშმარი...

გარს ყველაფერი სისხლეურად მოიჭედება.
დამპალი მთვარე გაშტერდება ქლექი ჯედებით,
ვით ქეთევანი წამებული, სახე მომშრალი.

**სანდრო ჩაჩიკაშვილი**

## სამტრედიელი რაინდი

(წერილი ახალ-სენაკიდან)

სექტემბრის 5-ს ახალსენაკიდან ღამის მატარებელით ტფილისს წამოვიდა ფრიად საჭირო საქმეთა გამო ჩვენი პარტიული ამხანაგი ვარლამ ჩიქოვანი, რომელსაც საგაზეთო წერილი გამოვატანე სამეგრელოს ანარქიის შესახებ. ვფიქრობდი, ფოსტაზე ადრე ეს კაცი ჩავა მეთქი.

მეორე დღეს, სექტემბრის 6-ს, ამ კაცს სენაკშივე ვხედავ. ვიფიქრე, მატარებელზე დაგვიანებია მეთქი. საქმე კი ასე ყოფილა:

ვარლამ ჩიქოვანი მართლაც წამოსულა ტფილისში. სამტრედიის სადგურზე რაღაც ჩოჩქოლი ყოფილა და ისიც გადმომხტარა ამბის გასაგებად თურმე სამტრედიის გვარდიის უფროსი ვინმე ს. ნინუა აქ არის და ვიღაც ყაჩაღი გაქცევია ხელიდან. გაფთრებული ნინუა სადგურზე ვ. ჩიქოვანს შეხვედრია, უზრდელად ხელი უტაცნია და შეუყვირნია, გაქვს შენ იარაღის ნებართვა? ვ. ჩიქოვანს უპასუხნია, ბატონო, ოღონდ ქართულ ზრდილობას ნუ დაჰკარგავთ და ნებართვას ეხლავე მოგართმევთო.

ამით უფრო გაცეცხლებულა „წესიერების დამცველი" და მოტყუებით გვარდიის შტაბში წაუყვანია ვ ჩიქოვანი. ამასაც ამოუღია ნებართვა და აგრეთვე რევოლვერი და მაგიდაზე დაუდვია, აი ნებართვა, რევოლვერიც და ნომერი შეამოწმეთო. ვ. ჩიქოვანს ორი მოწმობა ჰქონია. მათ შორის ერთი თურმე ფრიად საბედისწერო, რომელიც აუღია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისაგან ეს პარტია რაღა ჯანდაბაა, მე მაგას არ ვიცნობო, უყვირნია ნინუას დ რუსის ფელდფებელივით ფედერალისტები დედის გინებით მოუხსენებია (რუსულად შეუგინებია). ამის შემდეგ გაუსინჯავს მეორე ნებართვაც, რომელიც მიცემული აქვს ზუგდიდის სამაზრო კომისარიატისაგან. ამ ნებართვაზე ხელი აქვს მოწერილი სენაკის მაზრის გარნიზონის ძველ უფროსს პოლკოვნიკ სრესელს, იქვე ხელი აქვს მოწერილი სენაკ ზუგდიდის მაზრის გარნიზონის ახლანდელს უფროსს გენერალ ი. გედევანიშვილს. ამ დოკუმენტის გაბათილება კი ველარ მოუხერხებია ნინუას და გაჯავრებით უთქვამს:

— ნებართვა კარგია, მაგრამ რევოლვერი არა გშვენისო. ამ სიტყვებთან ერთად მას რევოლვერი სწრაფად აუღია ხელში და აღარ დაუნებებია.

ვ. ჩიქოვანი ეუბნება, ბატონო, სენაკ ზუგდიდის მაზრის გარნიზონის უფროსი დღეს გენ ი. გედევანიშვილია, იმისი ნებართვა მაქვს, სხვა რაღა გინდათო.

ნინუა მკვახედ უპასუხებს, მე არ ვიცი გედევანიშვილი, თუ უნდა თვითონ მოვიდეს და წაიღოსო

ვ. ჩიქოვანი იძულებული გამხდარა ამ ახალგაზრდის უფლება-მოსილობას დამორჩილებოდა.

ამ ხანში ვ. ჩიქოვანისთვის მატარებელსაც გაუსწრია და მეორე დღეს იგი სენაკს უკან დაბრუნებულა.

საჭიროა ამას მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და კადნიერ ახალგაზრდას ჩააგონოს, რომ გვარდიის უფროსიც მოვალეა კანონს და წესს დაემორჩილოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა აუხსნას, რომ თუ ყაჩაღმა რამე დაიშავა, ყაჩაღის დაჭერაში უნდა გამოიჩინოს მან ვაჟკაცობა და არა მშვიდობიან მცხოვრების შეურაცყოფაში და მთელის პარტიის კინტოურ სიტყვებით გალანძღვაში.

რ. ბ—ლი.

## პურის კრიზისი ჩვენში

შარშანდელმა შიმშილმა ნათლად დაგვანახვა, რომ სხვის იმედით ცხოვრება შეუძლებელი ყოფილა; ვისგანაც პურსა ვღებულობდით, იმათ თავად დასჭირდათ, ამიტომ პურის უქონელნი დავეძებდით, ქვეყანას ცოდვით ვავსებდით პურისათვის, მაგრამ არავინ შეგვიბრალა, მოწყალება არავინ გაიმეტა; პირიქით თუ სადმე იშოვებოდა, გადამალეს, რომ ცხოვრების გზა და კვალი მთლად აგვრეოდა. გვეგონა, ტფილისში პური გამოილიაო, მაგრამ როდესაც გირვანქა პური ექვსი მანეთი გახდა, მოულოდნელად ქალაქი პურით გაავსეს. ტფილისში თუ პური არ იყო, მაშ საიდან გაჩნდა ამდენი? ეს უნდა ვკითხოთ ჩვენი ცხოვრების მატლებს, რომელთაც კარგად გაიცნეს ჩვენი ყბა-ლია ბედოვლათობა, ჩვენსავე საქონელს, ჩვენსავე ქონებას ისეთი მოხერხებით აგროვებენ საიდუმლო საწყობებში, რომ ეშმაკიც კისერს მოიტეხს მის ძებნაში და ვერ მიაგნებს, ნახელთებ დროს კი ნაჭერნაჭერ გამოაძვრენენ ხოლმე და ჰყიდიან საკუთარ სურვილზე. აგრეთვე ამ კრიზის დროს 70 კაპეიკიანი ფუთი ფქვილისაგან გამომცხვარი პური 250—300 მან. ჰყიდდნენ. აი ის გზა, რომლითაც სულს იქით ყოველივე გაგვაცალეს წაგვართვეს. რა გვექნა, ლუკმაში ვაძლევდით მთელს ჩვენს საბადებელს.

შეგვიბრალა ღმერთმა, რომ ამ ტანჯვას იქნება დავხწეოდით, ამიტომ წელს კიდევ ჩვენს გამოსაცდელად მოგვცა დიდი პურის მოსავალი, სამი—წლის სამყოფი. ამდენს ხანს პურით უზრუნველი ვიქნებოდით. ხალხი სიხარულით აღტაცებული იყო: პური დაიაფდება და დავეხწევით ამ ტანჯვასაო. ეს იმედი ტყუილი აღმოჩნდა, რადგანაც ქართველი ხალხი რის ქართველია, თუ კი სიმდიდრეს მოიხმარს და სხვას მუქთად არ გაზიდვინებს? ამ გვარად ეს აუარებელი პურიც თურმე არა ჩვენს სასარგებლოდ მოვიდა, არამედ ჩვენს უარესად დასაღუპად.

ჩვენ, ვინც სოფლის ცხოვრების შუაგულში ვართ, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ამ ჩვენს სიმდიდრეს დიდძალი მატლი დაესეოდა ჩარჩების სახით, სხვა და სხვა ხრიკებით გაგვაცლიდნენ პურს ხელიდან და ბოლოს ჩვენივე ლუკმით გაგვაცლიდნენ მთელს ქონებასთან უკანასკნელ მიწასაც ამიტომ პირველ კალოობაშივე რა შევატყეთ ჩარჩებმა კალოებზედ დაიწყეს ტანტალი და განგებ ფასის აწევა, რაიცა ვიცოდით რა მიზნით, ამიტომ მე მივმართე სიღნაღის კავშირის გამგეობას, სადაც დაესწრო თავდაცვის კომიტეტიც, მიღებულ იქმნა დადგენილება: შაგვეკრა ყველა გასავალი გზები, ჩაგვეკეტა ჩარჩები არ გაგვეშვა, სადაც მოვასწრებდით ჩამოგვერთმია ნაყიდი პური ... შინ ... დაფრთხებოდნენ, ... პატარა შრომა და მუყაითობა იყო საჭირო. ასეც მოხდა. გზა ჯერ კარგად არ შაგვეკრა, რომ ჩარჩები კუდ ამოძუებული შიშისაგან გარბოდნენ, და ვინც შაეცადა პურის მალვით გატანას, იმასაც იჭერდნენ დაყენებული კაცები. ამგვარად ერთ კვირაში 70 მანეთიდან ფუთი 40 მანეთზე ჩამოვიდა. ხალხი მზად იყო მაზანდის კვალობაზე კოოპერატივებისათვის მიეცა პური, ოღონდ გასაყიდი კი ნუ დარჩებოდათ. საქმემ მშვენიერი სახე მიიღო, პური დაგვითავდებოდა და ჩვენს ხელშივე იქნებოდა. მაგრამ მოულოდნელად გამოიცა ჩვენი პურის თავისუფალი ვაჭრობა, რომ ყოველ ვინცინდარას ესარგებლა და ამოძრავდნენ კიდეც, სიხარულით დაგვესივნენ და გვინიავებენ ოჯახს. მოურიდებლად გვაგონებენ: ბიჭო! პურს ფასი აუწიე, ქართველი ფულით ბრმავდება, ჩვენ კი პური გავზიდოთო ამ გვარად ისევე კალოობაში ქიზიყში ფუთი ფქვილი 170 მან. გახდა. ამ ფასში ჩვენი ხელმოკლე ხალხი ათ-ათ გირვანქობით ძლივს-ღა ყიდულობს, იმ დროს, როდესაც ოსმალეთის სომხობა ურმობით აუარებელ პურსა ყიდულობს და ჩვენსავე გულის გასახეთქად, ქვემო მაჩხაანზე (შუა ქიზიყის სოფლებზე) ეზიდებიან ზოგს სიღნაღში, ზოგს ტფილისში, ზოგსაც რკინის გზით ამ გვარად ჩვენი მოსავალი გადადის მათს ხელში. ჩვენ კი ვრჩებით ცარიელ-ტარიელი—ულუკმო. თუნდაც მერე იშოვებოდეს პური, შევიძლებთ მის ყიდვას? ჩქარა 300 მან. გახდება ფუთი. გვაქვს ამდენი, რომ ვაძლიოთ? არ გვექნება და ჩვენსავე ლუკმაში მიწა უნდა ვაძლიოთ გადმოხვეწილებს დასახლდნენ, მათი ოცნება კი ესაა. აქ ერთია საკითხავი: თუ კი ჩვენი პური თავისუფალ სავაჭროდ გადავაქციეთ, რომ ერთხელ კიდევ დაგვემტკიცებინა ჩვენი პურადობა სხვის გასახაროდ, რატომ სხვის საქონელზე კი არ გამოცხადდა თავისუფალი ვაჭრობა? სოლოლაკი და შუა ბაზარი, რომ ავხადოთ, განუზომელ სიმდიდრესა სძინავს სხვა და სხვა საქონლის სახით შენახულს, მაგრამ აჩენენ ამას? არა, პირიქით, რომ დაგვარწმუნონ არაფერი აქვთ, აქედამ თითო ნაჭერს გამოაძრობენ ხოლმე მოგვაჩვენებენ, რომ უზომო ტყავი გვაძრონ. თუ პურით თავისუფალი ვაჭრობა გინდათ გვყავს დიდი ვაჭრები, მიეცით ნება გახსნან საწყობები, რომლებიც დღევანდელ მაზანდაზე 50 მან. ნაკლებ გავყიდოთო, იხვეწებიან. აღუკრძალეთ დღევანდელს მოთარეშეებს, ბარაქალას ნუ ველუპინებით. როდესაც ეს აუარებელი ხალხი ჩამოშორდება ჩვენს სოფლებს, მაშინ მთავრობასაც საშუალება ექნება პურის ყიდვისა, დღეს კი ესენი კონკურენციას ეწევიან, რადგან მატერია ამათ ბევრი აქვთ, საწყობებში თავლაფ დასხმული ჩვენი დეზერტირებისაგან. ნუ გგონიათ, თუ აღეკრძალებათ ვაჭრობა, ამით ქვეყანა დაიღუპება, ხალხი აჯანყდება; არა, პირ-იქით, თავისუფლად ამოვისუნთქავთ ამასა თხოულობს ხალხიც. ხოლო ამ გზით კი, როგორიცაა დღეს, მივალთ უფსკრულისაკენ. ამას გვალაპარაკებს ცხოვრების სინამდვილე, ვინაიდან სოფლის შუაგულ ცხოვრებაში ვდგევარ და ვხედავთ ყოველივეს

ი ოქ—ლი.

## ცოტა რამ კახეთის რკ. გზაზე

თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო, სწორედ ამ კახეთის რკინის გზაზე ითქმის. როგორი მიმოსვლა იყო, ცხოვრების ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში და ეხლა, როცა მაზუთი შემოაკლდათ და ქვა ნახშირზე გადვიდა, წარმოუდგენელია მისით მგზავრობა.

წინედ ყველაფერს ომს აბრალებდნენ, მუშა ხელის საცოტავეს, გზის სიახლეს და სხვა, მაგრამ ომი გათავდა, მუშა ხელიც დაბრუნდა, გზაც გაიტკიცა, მაგრამ ისევ ის ტაატაობა, მარშრუტის შეუსრულებლობა და მატარებლის დაგვიანება. ყველა-ყველა და წყლის დახზადება და სხვა თადარიგი, რომ თავის დროზე სრულდებოდეს, ხომ მიმოსვლასაც ხელი შეეწყობა.

ეხლა კი მეტად პატივსადები მიზეზი გამოჩნდა, ყველა ნაკლი ქვანახშირის ხმარებამ დაჩრდილა. ამჟამად ტფილისიდან დილით გამოსული მატარებელი თელავში მოდის ღამის 1—2 საათზე, ხან დილის 3—4 საათზე და იშვიათად 10—11 საათზედაც. ტფილისიდან თელავამდე სულ 142 ვერსია, რომელსაც უნდება მატარებელი 14—18 საათზე მეტს ე. ი. საათში უვლია 8—10 ვერსი და ხან ნაკლები; ეს ფაქტია

ამ გარემოებას რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ჩემის აზრით, შეიძლება საქმის გამოკეთება და ზოგიერთი ნაკლის თავიდან აცილება, მაგ. წინედაც და ეხლაც რამდენიმე საათით ჩერ-

დება მატარებელი ნავთლუხში, რაც ზღვრა-ზოგრი ნახევარ საათით სრულებით საკმარისი უნდა იყოს, დანარჩენ სადგურებზე ზოგჯერ საათობით გალოდინებენ და მიზეზს რომ იკითხავთ, გიპასუხებენ, ეხლა ორთქმავალი გაუშვით და ჯერ ის უნდა მივიდეს სადგურზეო. მაშინ როცა ჯერ უნდა ამ მატარებლისთვის მოეცადნათ, რომ არ დაბრკოლებულიყო და ბევრი ამისთანა მაგალითები, რომლებსაც მაზუთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

არ ვიცი ეს ვილას შეეხება, რომ მგზავრს 2—3 ფუთი ფქვილის წაღება რომ უნდოდეს ოჯახისთვის, ჯერში უნდა ჩადგეს სპეკულიანტებთან ერთად, რომელთაც ათ და ოც ტომრობით მიაქვთ და 2—3 დღე თუ არ ელოდა, ვერ წაიღებს ორი კვირის საზრდოს.

დიახ, არის ბევრი ნაკლი, რომლის თავიდან აცილება, ვიმეორებ არც ისე ძნელია, ყურადღებას რომ მიაქცევდეს, ვინც ჯერ არს, და მატარებლების მიმოსვლაც ცოტა მოწესრიგდებოდა დროს შემოკლებით, თორემ ძნელი ასაწერია ის ტანჯვა-ვაება, რომელსაც განიცდიან დღეს მგზავრნი კახეთის რკინის გზით მოგზაურობით, რასაც ზედ ერთვის მგზავრთა სიმრავლე, სივიწროვე, უად გილობით 10—16 საათი ფეხზე დგომა და სხვა შევიწროება...

დავიწყებული.

## ცხოვრების სინამდვილიდან

3.

რევოლიუციის ისტორიაში ბევრი იმის მაგალითები მოიპოვება, რომ გლეხობას დასავლეთ ევროპაში საგრძნობი როლი უთამაშნია და თავისი გამოსვლებით ხშირად ძალიანაც გაურთულებია საზოგადო მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, გლეხობას იმდენად მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იმდენად შეუძლიან შესცვალოს დაწყობილი ანგარიშები და დალაგებული გეგმები, რომ უყურადღებოდ დატოვება, მისთვის გვერდის ახვევა ანუ ანგარიშის გაუწევლობა ყოვლად შეუძლებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს ყოველივე საღად მოაზროვნე ადამიანისთვის თუ ჯგუფისთვის.

თუ ეს ასეა საზოგადოდ, მით უფრო ასეა საქართველოსთვის, სადაც თითქმის მთელი მასსა, მთელი ხალხი გლეხობას წარმოადგენს.

გლეხობა იძლევა ჯარის შესადგენად უმთავრეს ელემენტებს; გლეხობა იძლევა სანოვაგეს. მატყლს, აბრეშუმს და სხვა ნედლ მასალას; გლეხობა, თუ მთავრობას მხარს უჭერს, ყველაფერი საუცხოვოდ მიმდინარეობს, უზრუნველყოფილია თავისუფლებაც, დამოკიდებლობაც; გლეხობა თუ მთავრობის წინაამდეგ ილაშქრებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დუშეთის და ლეჩხუმის მაზრებში,—შავი ყორნები საბედისწერო ჩხავილს იწყებენ მოსისხლე მტრები—გველურ სისინს, და საფრთხეში ვარდება ჩვენი თავისუფლება და არსებობაც კი.

ერთი სიტყვით, რევოლიუციის და საქართველოს ინტერესები მოითხოვს გლეხს დიდი ყურადღება მივაქციოთ, გლეხს დაუმეგობრდეთ, გლეხი ძმად გავიხადოთ, მოვიმხროთ.

სამწუხაროდ, ძველი რეჟიმის ბოროტი პოლიტიკით ყოველივე ღონე იყო ნახმარი, რომ სოფელი სიბნელის, სიბრმავის და სიყრუის მორევში ჩახრჩობილიყო. დიდი წინაამდეგობა ამ პოლიტიკის განხორციელებას სოფლად არ ხვდებოდა ბევრი არავინ (ორიოდე გამონაკლისის გარდა?) იტკივებდა თავს სინათლის ბრწყინვალე შუქის მოფენის განზრახვით და ცურავდა სოფელი სიბნელის, სიბინძურის, „შელოცვის", „მარჩიელობის" და „ქინკაობის" ტლაპოში.

თუ სოფელი გვაინტერესებდა, სოფლად მოვდიოდით, სოფელში დროს და ენერგიას ვხარჯავდით, არა იმ მიზნით რომ სიბნელით მოცული წყვდიადი გაგვეფანტა, ბურუსში გახვეული გლეხის გონება გაგვენათლებინა, ნამდვილი შეგნება შეგვეტანა, საღი აზროვნება გაგვევითარებინა, მისთვის თვალები აგვეხილა ავი და კარგი დაგვენახვებინა... არა-ჩვენ მივდიოდით იქ პარტიულ დოგმებით, პარტიული ქინიანობით გატაცებულნი: ჩვენ ვმუშაობდით იქ პარტიული გავლენის განმტკიცების მიზნით, აუცილებლად მიმხრობის განზრახვით, ზედმეტი „კენჭის" თვალსაზრისით.

ყველა სოფელში მომუშავე პარტია ცდილობდა თავისი ჰეგემონია განემტკიცებინა და ამისათვის ყველა საშუალებანი—დაწყებული მოწინაამდეგეთა ლანძღვა-გინებაში ფარჯიშობით და ფიზიკური „დაზელვით" დაბოლოვებული—მიღებული და ნებადართული იყო.

ხალხს თუთიყუშივით ვაზეპირებინებდით რაღაც ლოზუნგებს, შინაარსის გაუგებრად გარეგნულ ფორმებს, და ასეთ გათვითცნობიერებამ, ღრმა „შეგნებამ" თავისი შედეგები უკვე ნათლად დაგვანახა.

მას იმოდენა შეგნებაც კი ვერ მივეცით, რომ მტერი მოყვრისაგან გაერჩია, მტერს მტრულად დახვედროდა და მოყვარეს მოყვრულად; არა, მან თავაზიანად გაუღო სახლის კარები თვისი სამშობლოს მოსისხლე მტრებს, მოღალატეებს, ჯალათებს, მათ გვერდში ამოუდგა და იმათი ბინძური საქმის მონაწილე გახდა.

რა უნდა ვაკეთოთ დღეს, როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩადენილი შეცდომები?

სოფელს ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფელში გათვითცნობიერება, ნამდვილი შეგნება შევიტანოთ; იქ გამეფებული წყვდიადი ბრწყინვალე შუქით შევცვალოთ.

ამ მიზნით სოფელს მუშაკები ესაჭიროება, მაგრამ არა პარტიული ქინიანობით და ფანატიზმით გატაცებულნი-არა პარტიული დოგმების თაყვანისმცემელნი, არამედ საქართველოს და თავისუფლების ერთგული დარაჯნი, ნამდვილე გულშემატკივარნი.

დღეს საქართველო უნდა გადავარჩინოთ იმ საშინელ ქარცეცხლისაგან, რომელიც თავს დასტეხია; დღეს უნდა დავიცვათ ქართველი ერის არსებობა; დღეს უნდა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა; დღეს უნდა ჩაუნერგოთ ხალხს სამშობლოსადმი კეთილშობლური სიყვარული, უნდა აღვანთოთ მასში მის საკეთილდღეოდ ბრძოლის ალი; დღეს უნდა მოვამზადოთ თეთრისა და შავის ერთმანეთისაგან გამომცნობნი აღვზარდოთ თავისუფალი ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი.

აი, ამ პლატფორმაზეა საჭირო დღეს სოფელში მუშაობა, და ყველა წმინდა დემოკრატიული პარტია, რომელსაც ხალხის ნამდვილი ინტერესები ასულდგმულებს და რომელსაც არ სურს ისე, დაც ამღვრეული წყალი კიდევ უფრო აამღვრიოს, დღეს დღეობით სწორედ ამ პროგრამით უნდა ხელმძღვანელობდეს.

სჯა-ბაასი, კამათი, აზრთა შეხლა-შემოხლა, ეს ყოველთვის მისაღებია; ლანძღვა-გინება, მუშტი კრივიც კი დალხინების, სიწყნარის დროს არ არის შეიძლება იმდენად დასაგმობი, მაგრამ დღეს ამ საერთო არევ-დარევის დროს, როდესაც საჭიროა ძალების დარაზმვა შეკავშირება, მწყობრი გამოსვლა, ამნაირი გამოსვლა სოფლად ისედაც აწეწილ მდგომარეობას კიდევ უფრო ასწეწავს როდესაც მდგომარეობა განმტკიცდება ჩვენს წინ არ იქმნება აღმართული მთელი თავის სიგრძე-სიგანით მრავალგვარი საფრთხე, მაშინ დადგება შესაფერისი დრო პარტიული ბრძოლის საწარმოებლად, ექსპერიმენტების მოსახდენად.

ქვეყნის კეთილდღე ბა, სამშობლოს და რევოლიუციის ინტერესები გვავალებს ჩვენ ვიმოქმედოთ სოლიდარულად გამოვიდეთ შეთანხმებული პლატფორმით საერთო სიებით.. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვინდა მშრომელი ხალხის უკეთესი მომავალი მსხვერპლად შევსწიროთ პარტიულ დოგმებს და ლოზუნგებს.

ვიწრო წრეებში, შეგნებულ მუშებში და გლეხებში, რასაკვირველია, პარტიულ ნიადაგზე მუშაობა შეიძლება, მაგრამ ფართო მასაში, ბნელ ხალხში ასეთი მუშაობა ყოვლად შეუწყნარებელია.

ამ ნაირად, სოფელს ყურადღება უნდა მივაქციოთ და ამასთანავე შევცვალოთ ტრადიციულად გამეფებული მუშაობის გეზი.

სოფელს უნდა მივსცეთ წმინდა კულტურული მუშაკნი, სამშობლოსათის და თავისუფლებისათვის თავდადებული მოქალაქენი.

მაშინ გლეხი რამდენიმედ მაინც ბურუსიდან გამოერკვევა და ისე მოიქცევა, როგორც შეჰფერის თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნის ერთგულ შვილს.

თუ ამ გზას არ დავადგებით, სოფლიდან კიდევ უნდა მოველოდეთ ბევრს არა სასიამოვნო ექსცესებს.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

## ორიოდე სიტყვა

ტფილისის ქუჩებში ყურადღებას იპყრობს უხვად გაკრული განცხადებები რუსულ ენაზე, სადაც რუს მასწავლებელთა წრეები დიდი საზეიმო ასოებით თვალებს გვიჭრელებენ, რომ ტფილისში და ჩვენ ქვეყნის სხვა კუთხეებშიც მათ მიერ იხსნება თუ გახსნილია „ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი", „ამიერ-კავკასიის სასულიერო სემინარია", მრავალი გიმნაზია, თუ რეალური სასწავლებელი რუსეთის სახელმწიფოებრივ სრულ უფლებიანი კურსით, რასაც ბოლოში აუცილებლად თვალსაჩინოდ აქვს მიბეჭდილი „მიიღებიან ეროვნების განურჩევლადო" და, ამას გარდა, ჩამოთვლილია ბევრი შეღავათი ამ სასწავლებლებში შემსვლელთათვის, მაგ., უმაღლეს პირველდაწყებით სკოლებში კურს დამთავრებულთ იღებენ გიმნაზია-რეალურის მეხუთე კლასში გამოუცდელად, დაბალ სკოლებიდან კი პირველ კლასში იმავე წესით.

ერთის შეხედვით სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ასეთ ინტერესს იჩენენ სწავლა-განათლებისადმი ჩვენი შემორჩენილი სტუმრები, მაგრამ ბრმა უნდა იყვეს ქართველი მოქალაქე, რომ ვერ გაიგოს ჩვენი არა-მკითხე კულტურ-ტრეგერების დაფარული ზრახვები. ასეთი სკოლების გამრავლება საქართველოს ტერიტორიაზე შეაგროვებს ჩვენში მთელ ამიერ-კავკასიაში გაფანტულ რუსის რეაქციონურ, უსაქმოდ დარჩენილ მოხელეებს, რომელნიც გამწარებულნი არიან რევოლიუციის ნაციონალიზაციით და, ვინ იცის, უკეთესის მოლოდინში, რა ორგანიზაციას გამოაწყობენ ისინი, რა ფარულ მუშაობას გასწევენ იმ სახელმწიფოს წინაამდეგ, რომელსაც დაცინვით „სიმინდის რესპუბლიკას" ეძახიან და მაინც არ თაკილობენ იმის ღარიბ შვილთა გაჭირვების ოფლით მოყვანილ სიმინდით გამოკვებას. ამ ჩვენთვის უსარგებლო და საწინააღმდეგო ელემენტების სრული თავისუფლების მიცემა საზარალო იქნება იმ მხრითაც, რომ ქართველ ხალხში ბლომად არიან შეუგნებელი ელემენტები, რომელნიც ყოველივე რუსულს მოწიწებით შეჰყურებენ და ქართული დედა-ენის მნიშვნელობა კი ვერ შეუგნიათ. ამიტომ მრავლად გაავსებენ ასეთ რუსულ სასწავლებლებს და ხელს შეუწყობენ კვლავ რუსულ „კულტურის" გაძლიერებას ჩვენში მშობლიური ქართულის ხარჯზე. სახელმწიფოს ცხოვრების კალაპოტში ჩასაყენებლად ზოგჯერ საჭიროა შეიზღუდოს კერძო პირთა თავისუფლება, მაგალითად, სამხედრო ბეგრის მიხედვის და გადასახადების აკრეფის დროს და სხვა. ამიტომ ვფიქრობთ, სწორედ ასევე უნდა მოხდეს ერთგვარი ძალდატანება და პირველ ხანებში აეკრძალოს ქართველ მშობლებს შვილების მიბარება უცხოთა სასწავლებლებში. ქართველებისთვის უნდა შეიქმნეს ახალი სასწავლებლები საკმაოდ, კერძო სასწავლებლების გახსნასაც ქართულ ენაზე სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და არამც და არამც არ მისცეს ნება არავის ქართულ სასწავლებლებს გვერდი აუაროს.

ყოველი ტიპის სასწავლებელი თუ გვაკლია, უნდა გახსნილ იქმნეს, რომ საბაბი არ მიეცესთ, გვითხრან, ჩვენ არ გვაქვს ასეთი სკოლები, ამიტომ მივდივართ სხვასთანო! რასაკვირველია, ჩვენ არაფერი გვაქვს იმის წინააღმდეგი, რომ ეროვნულ სწავლის მიღების შემდეგ, ახალგაზრდები უცხოეთში გაემგზავრონ სწავლის მისაღებად—შესამატებლად. მაგრამ ერთგვარ და ერთ ღირსების სასწავლებლებში აქვე სამშობლოში ჩვენ შეუდარებელ უპირატესობას ვაძლევთ მშობლიურს და გვინდა აღვუკრძალოთ მოქალაქე ქართველებს უცხო სასწავლებლებში ბავშვების მიბარება, რაც მხოლოდ გამაუკუღმართებელია მოზარდის ბუნებისა და არა სასურველ შედეგებს იძლევა.

ამას გარდა, მთავრობამ უნდა ყურადღება მიაქციოს, რომ ყოველ სასწავლებელში საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყვეს. ეს საჭიროა სახელმწიფო თვალსაზრითაც და იმ მხრივაც კიდევ, რომ იქ სწავლა მიღებულ უცხო ტომელებს საშუალება ექნებათ ყველგან ჩვენს სახელმწიფოში იმსახურონ და ამ რიგად არ დარჩნენ მუდამ უკმაყოფილო ელემენტებად.

ს. აბულაძე.

## ჩქარა ისწრაფეთ

(ქართულ უნივერსიტეტის და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საყურადღებოდ).

მოგეხსენებათ, ამ ჟამად ბევრი უცხოელი იძულებულია დასტოვოს ჩვენი სამშობლო, რის გამო გამალებით და საჩქაროდ ჰყიდის ყოველივე ქონებას.

სხვათა შორის ტფილისის ბაზარზე იყიდება ჩირის ფასად დიდძალი განძეულობა კულტურული ღირებულებისა.

ამ შემთხვევით რასაკვირველია სარგებლობს ჩარჩი-ვაჭარი, რომელიც შემდგომ ერთი ათად ტყავს გააძრობს მოქალაქე-მყიდველს. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, ამ გარემოებას აქცევენ ყურადღებას თუ არა ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელნიც ესოდენ ღარიბნი არიან ამა საგანძურით?

P. S. ჩალის ფასად იყიდება (მომდევლობაში თუ მივიღებთ ფულის ღირებულების საზღაპროდ დაცემას) ძვირფასი სამეცნიერო წიგნები სხვა და სხვა დარგისა, ალბომები და სხვა ძვირფასი და შესანიშნავი ყდებით, რის დამამტკიცებელია მრავლად გახსნილი ეგრედ წოდებული „საკომისიო" სავაჭროები.

მაშ სანამ გვიან არ არის—ჩქარა, ისწრაფეთ!

ერმალოზ კახი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმ ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჯების ავადმყოფობა. ავადმყ მიიღ. 4—6 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგობით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმმა დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სთ. 5—6 კვირის გარდა. ოლღის ქუჩა 15 ტელ 18—03 2010

ექიმი წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ტელ. 11—35. 2001

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ექიმი ვ. ბ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულთებით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქ. № 19. 992

ექიმი ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 ს მელიქოვის ქ. 12, მე-9 ...
№ 14

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3 1304

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სამებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ელექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხიისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და სამკურნალო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

გ. ი. მიშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშობიარო.

ბ. ბ. აგასართვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი

კერძო სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა

მომსვლელ ავადმყოფთათვის

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე შემდეგ ექიმების მიერ:

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა.

მისამართი: ერეკლეს ქ № 6 ავზხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

საბუღალტრო კურსები.

ნ. ვ. აბრამიანისა

ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმათთვის, ვისაც სურს ბუღალტერია ქართულ ენაზე შესწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს 20-დან სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა